

უგანური დასკვნები

ქ ე ჯ ა ე ი ს

თ ე კ ე კ ი ს

ს ს ე ლ ე კ ე ვ ა ნ ე ლ ე

თარგმანი ა. მებრალიძის

მეორე გამოცემა

სახელმწიფო გამომცემლობა
„საბჭოთა საქართველო“
თბილისი
1958

დაწუხებითი ცნობები ზადრაკის თამაშის შესახებ

ჰადრაკის თამაშს თავისი ისტორია აქვს; რომელიც დიდი ხანია ინტერესს იწვევს. ამ თამაშის წარმოშობის შესახებ რამდენიმე ლეგენდა არსებობს, რომელთა ისტორიული სიმართლე მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მათ სწორად გადააქვეთ ჰადრაკის წარმოშობის ადგილი აზიაში, ხოლო მისი წარმოშობის დრო — შორეულ წარსულში. ეგვიპტურ ქანდაკებებში ნაპოვნი იყო ჰადრაკის მსგავსი თამაშის გამოსახულებანი. ნაპოვნი აგრეთვე ათასი წლის წინათ დაწერილი დოკუმენტები, რომლებიც ჰადრაკს შეეხება. მაგრამ იმ ეპოქის ჰადრაკის თამაში თანამედროვისაგან განსხვავდებოდა. თავისი ისტორიის მანძილზე ჰადრაკმა, უეჭველად, მრავალი ცვლილება განიცადა და, ვინ იცის, იქნებ ჩვენი ჰადრაკის წინაპარი იყოს შაში, ან შაშის მსგავსი სხვა თამაში.

ჰადრაკის ისტორია ევროპაში დაახლოებით ათასი წლის წინათ დაიწყო. იმ ეპოქაში ჰადრაკი

დიდი პატივისცემით სარგებლობდა ესპანეთში და დიდკაცობისა და სწავლულების საყვარელ თამაშს წარმოადგენდა. ჰადრაკს თამაშობდნენ სასახლეებსა და რაინდთა ციხე-დარბაზებში, მას ხოტბას ასხამდნენ მშვენიერ პოემებში. საუკუნეთა განმავლობაში ჰადრაკი რჩებოდა მხოლოდ ფაქიზი გემოვნებისათვის მისაწვდომ სათუთ თამაშად. შემდეგ ჰადრაკი თანდათან გავრცელდა იტალიასა და საფრანგეთში და საბოლოოდ მან საყოველთაო გავრცელება მიიღო.


როგორც აღვნიშნეთ, ჰადრაკის თამაშმა მრავალი ცვლილება განიცადა, მაგრამ მხოლოდ გარეგნულად, ის მხოლოდ ფორმას იცვლიდა, დედაარსი კი უცვლელი რჩებოდა ათასი წლების მანძილზე და ამიტომ მისი გარკვევაც ძნელი არ არის. ჰადრაკის თამაში ყოველთვის გამოსახვდა ომს ორ მტრულ ბანაკს შორის, გააფთრებულ ომს, რომელიც თუმცა გარკვეულ კანონებს და წესებს ემორჩი-

ლება, მაგრამ, რომელ-
მაც არავითარი დანდობა
და შებრალება არ იცის.
ეს ნათელი ხდება ქადრაკის თა-
მაშის წესების უბრალო გაცნო-
ბითაც.

ჰადრაკის დაფა

ქადრაკში ყველაზე უძველესია
დაფა, საქადრაკო ბრძოლის ას-
პარეზი. იგი შედგება 64 უჯ-
რედისაგან, პატარა კვადრატები-
საგან, რომლებიც მთლიანად ერთ
დიდ კვადრატს შეადგენს. ეს 64
უჯრედი დალაგებულია 8 ჰორი-
ზონტალურ და 8 ვერტიკალურ
ურთიერთგადაძვეთ ზოლებად.
მაშასადამე, ქადრაკის დაფა შე-
იძლება მივიღოთ ერთი დიდი
კვადრატის 8 ვერტიკალურ და
8 ჰორიზონტალურ ზოლად და-
ყოფით.

დაფის უჯრედები, ერთმანეთი-
საგან გარჩევის მიზნით, შეღები-
ლია შენაცვლებით თეთრ და შავ
ფერად და ქადრაკის დაფას უძ-
ველესი დროიდან ასეთი სახე აქვს.



ქადრაკის თამაშის შემსწავ-
ლელისათვის მეტად დიდი მნიშ-
ვნელობა აქვს ქადრაკის დაფის
ზუსტად ცოდნას, რათა მას შე-
ეძლოს მკაფიოდ წარმოიდგინოს
თითოეული უჯრედი მის ინდი-
ვიდუალურ მდგომარეობაში და-
აგრეთვე მოსაზღვრე უჯრედთა
ჯგუფების ურთიერთ დალაგება.
ამის გასაადვილებლად მთელ და-
ფას სამ ნაწილად ჰყოფენ — შუა
ნაწილი და ორი ფრთა. პირველი
და მეორე ვერტიკალური ხაზები
(მარცხნიდან) ქმნიან მარცხენა
ფრთას; მეშვიდე და მერვე ხა-
ზები, რომლებიც დაფის მარჯვენა
მხარეზე არიან, — მარჯვენა
ფრთას. მესამე, მეოთხე, მეხუთე
და მეექვსე ხაზები — შუა ნაწილს.
ამ შუა ნაწილის შუა გულს ქმნის
ოთხი უჯრედი, რომლებიც მეოთ-
ხე და მეხუთე ხაზზე და მეოთხე და
მეხუთე რიგზე იმყოფება. ამ ოთხ
უჯრედს ცენტრი ეწოდება.

დაფაზე წარმოებული სვლების
შოკლედ და მკაფიოდ აღწერის
მიზნით თითოეულ უჯრედს მისცეს
სახელწოდება. ძველ დროში მათ
სურათოვანი (აღწერილობითი) სა-
ხელწოდება ჰქონდათ, ჩვენს
დროში კი ისინი მათემატიკურად
აღინიშნებიან.

ეს მათემატიკური აღნიშვნანი
დეკარტეს მიერ შემოღებულ კო-
ორდინატთა სისტემას მოგვაგო-
ნებს. ამჟამად დროს მარცხნიდან
მარჯვნივ მიმავალი ხაზები რიგ-
რიგობით აღინიშნება ასობით:
a, b, c, d, e, f, g, h; „რიგები“,

ანუ ჰორიზონტალები, რომლებიც ქვემოდან ზემოთ მიდის, აგრეთვე რიგრიგობით აღინიშნება ციფრებით: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8. ამრიგად, ამბობენ ა ხაზის, ხ ხაზის და ა. შ. h ხაზის შესახებ, ან 1-ლი, მე-2 და ა. შ. მე-8 რიგის შესახებ.

ვინაიდან თითოეული უჯრედი შეიძლება მხოლოდ ერთ ხაზსა და ერთ რიგს ეკუთვნოდეს, ამიტომ ის სავსებით ზუსტად განისაზღვრება სათანადო ხაზისა და რიგის აღნიშვნით. მაგალითად, ხ⁵ უჯრედი ის უჯრედი, რომელიც მდებარეობს ხ ხაზის და მე-5 რიგის გადაკვეთაზე.

ჩვეულებად გადაიქცა ჯერ ასოსი და შემდეგ ციფრის აღნიშვნა, ასე რომ, ყოველთვის ამბობენ და წერენ „ხ⁵ უჯრედს“ და არა „5 ხ უჯრედს“. ამრიგად, ეს სისტემა საშუალებას იძლევა მარტივად და ერთსახოვნად აღვნიშნოთ ყოველი უჯრედი დაფაზე.

მეორე სისტემის—აღწერილობითი სისტემის შესახებ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

დაფის დაყოფა მათემატიკურ სისტემაში ასე გამოისახება: მარცხენა ფრთას ქმნის ა და ხ ხაზები, მარჯვენას — გ და h ხაზები, დაფის შუა ნაწილს — e, d, e და f ხაზები. ცენტრს შეადგენს ოთხი უჯრედი: d⁴, d⁵, e⁴, e⁵. მოკადრაკემ, რომელსაც სურს ის-

წავლოს კადრაკის წიგნების თავისუფალი კითხვა, პირველყოფლისა უნდა შეისწავლოს უჯრედთა სწორი და ჩქარი აღნიშვნა, ჩქარა იპოვოს ის უჯრედები, რომლებსაც უჩვენებენ მათემატიკურ აღნიშვნებში და ნათელი წარმოდგენა იქონიოს მათ გეომეტრიულ მდებარეობაზე.

ჭადრაკის ფიგურები

კადრაკის დაფაზე მებრძოლი ფიგურები ორ ბანაკად იყოფა: თეთრებად და შავებად. თეთრი ფიგურები ერთ პარტიას წარმოადგენს, შავები კი მეორეს — მის მოწინააღმდეგეს.

თეთრებსაც და შავებსაც ერთი და იგივე ფიგურები აქვთ: მეფე, ლაზიერი, ორი ეტლი, ორი კუ, ორი მხედარი და რვა პაიკი. ამრიგად, ყოველ პარტიაში არის თექვსმეტი ფიგურა. ფიგურები ლაგდება დაფაზე ისე, რომ თითოეული მათგანი იკავებს მხოლოდ ერთ უჯრედს და პირიქით — თითოეული უჯრედი შეიძლება იყოს ან თავისუფალი, ან კიდევ ერთი ფიგურის მიერ დაკავებული. თამაშის დასაწყისში ფიგურები ლაგდება ერთხელ და საბოლოოდ დადგენილი წესის მიხედვით. შემდეგ მოთამაშენი ფიგურების ამ პირველდაწყებით განლაგებას სცვლიან, აკეთებენ რა რიგ-რიგობით „სვლებს“; ე. ი. გადააად-

გილებენ ფიგურებს ერთი უჯრედ-
დიდან მეორეზე. ამაში მდგომარეობს
ჰედრაკის ფიგურათა შორის გარკვეული
წესით წარმოებული ბრძოლა. თითოეული მხარე
ცდილობს დაიცვას თავისი მეფე
და ხელი შეუწყოს მოწინააღმდეგის
მეფის დაუფლებას.

ჰედრაკის ფიგურათა გარეგნობა
სხვადასხვანაირია. წიგნებში ფიგურები
შემდეგი ასოებით აღინიშნება: მეფე—მფ, ლაზიერი—ლ,
ეტლი—ე, კუ—კ, მხედარი—მ,
პაიკები—ასოთი არ აღინიშნება.

დიაგრამებზე ფიგურებს შემდეგი
პირობითი გამოსახულებანი აქვთ:

	მეფე
	ლაზიერი
	ეტლი
	კუ
	მხედარი
	პაიკი

მოთამაშემ, რომლის სვლის
ჯერიც არის, უნდა გადაადგილოს
ერთ-ერთი თავისი ფიგურა ერთი
უჯრედიდან მეორეზე, ამაში მდგომარეობს
სვლა. სვლათა რიგობით ცვლა წარმოადგენს
ბრძოლის მთელ მსვლელობას. რასაკვირველია,
ეს აღწერა არ არის ამომწურავი. ის მხოლოდ
საქმის არის გადმოგვცემს და მის

წვრილმანებში კი მცირე ცვლი-
ლებებს აქვს ადგილი. ასე, მაგალითად,
როქის გაკეთებისას ან პაიკის გარდაქმნისას,
ერთად მოქმედებს ერთი და იმავე პარტიის
ორი ფიგურა. მაგრამ ყველა სვლა
კეთდება გარკვეული წესის მიხედვით,
რომელიც მოთამაშეთათვის სავალდებულოა.

სვლათა წესები

მეფეს შეუძლია გადავიდეს იმ უჯრედიდან,
რომელზედაც ის დგას, მხოლოდ ერთ ერთ მეზობელ
უჯრედზე, ეტლს შეუძლია იმოდროს მხოლოდ
სწორხაზობრივად, კუს ირიბხაზობრივად
(დიაგონალით), ლაზიერს სწორხაზობრივად
და დიაგონალითაც, მხედრები აკეთებენ ნახტომს,
ე. ი. უმოკლეს არასწორხაზობრივ გზას,
რომელიც შესაძლებელია ჰედრაკის დაფაზე,
პაიკი კი მიდის მხოლოდ წინ და მხოლოდ ერთ
უჯრედზე. სვლები შეიძლება გაკეთდეს
მხოლოდ საკუთარი ფიგურით დაუკავებელ
უჯრედზე და იმ შემთხვევაში თუ გზა ამ
უჯრედამდე თავისუფალია. თუ ეტლის,
კუს ან ლაზიერის გზა რომელიმე დასახულ
უჯრედამდე თავისუფალი არ არის, ე. ი. თუ
ეს გზა დაკავებულია ერთ-ერთი ფიგურით,
მაშინ ზემოაღნიშნულ ფიგურებს არ შეუძლიათ
გადაახტენ გზაზე მდგომ ფიგურას. უჯრედის
დაკავებას ვერ შეაფერხებს ამ უჯრედზე
მოწინააღმდეგის ფიგურის მდებარეობა. ჩვენ გვი-

ლებზე“ ამ ფიგურას, ვეუფლებით ამ უჯრედს და ვგზავნით მოწინააღმდეგის მოხსნილ ფიგურას მოხსნილ ფიგურათა ყუთში; ყველა ეს მოხსნილი ფიგურა ამ პარტიისათვის მკვდარსა და უსარგებლო ფიგურას წარმოადგენს.

ყველა ფიგურას შეუძლია მოწინააღმდეგის ფიგურის აღება. მეფესა და მხედარს ეს შეუძლიათ მაშინ, თუ მათ იმ უჯრედზე გადასვლის საშუალება აქვთ, რომელზედაც მოწინააღმდეგის ფიგურა დგას, პაიკს კი მაშინ, თუ მოწინააღმდეგის ფიგურა დგას მის მოსაზღვრე დიაგონალურ უჯრედზე (და არა მის წინამდებარე უჯრედზე). ყველა ფიგურა შეიძლება აღებულ იქნას ან მოექცეს მუქარის ქვეშ, გარდა მეფისა. თუ მეფეს საშიშროება ემუქრება, როგორც ამბობენ, თუ მოწინააღმდეგე „ქიშს“ უცხადებს მას, მაშინ მოთამაშე ვალდებულია საკუთარი მეფე დაიცვას. თუ მეფეს თავდაცვის არავითარი გზა არ დარჩენია, მაშინ მეფე შამათდება.

სვლათა მოყვანილი წესები სრული არ არის და მეტად შემოკლებულ ფორმაშია გადმოცემული, მაგრამ ეს წესებიც გვისურათებს საჭადრაკო ბრძოლის შინაარსს.

განვიხილოთ თითოეული ფიგურა ცალ-ცალკე და გავაშუქოთ მათთან დაკავშირებული ყოველი ლოგიკური მომენტი.

მ ე ფ ე

მეფეს შეუძლია თავისი ადგილიდან გადავიდეს ყოველ იმ უჯრედ-

ზე, რომელიც კი დააკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

1. ის მეზობელია იმ უჯრედისა, რომელიც მეფეს ეკავა;

2. ის არ არის დაკავებული იმავე ფერის არც ერთი ფიგურით, რა ფერისაცაა მეფე;

3. ის არ იმყოფება მოწინააღმდეგის არც ერთი ფიგურის მუქარის ქვეშ.

მხოლოდ ერთხელ შეუძლია მეფეს მთელი პარტიის განმავლობაში დაარღვიოს ეს წესი, ე. ი. მას შეუძლია გადავიდეს არამეზობელ უჯრედზე. ეს ხდება „როქის“ შემთხვევაში. „როქის“ ჩატარებისას მეფე და მისი პარტიის ერთ-ერთი ეტლი გადაადგილდება ერთდროულად და ეტლი იდგმის მეფის გვერდით, ხოლო მეფე გადაინაცვლებს მის ზემოთ. ამასთან ნაგულისხმევია, რომ:

1. მეფე არ იმყოფება დარტყმის ქვეშ (მას არა აქვს გამოცხადებული „ქიში“);


2. მეფე და ეტლი „როქის“ მომენტამდე უძრავნი იყვნენ;

3. ეტლის გზა თავისუფალია;

4. არც მეფე და არც ეტლი „როქის“ შედეგად არ მოხვდებიან მუქარის ქვეშ.


ახლა თვალსაჩინო მაგალითზე განვიხილოთ ასე მოკლედ აქ მონათხრობი. ქვემოთმოყვანილ დაფაზე, e2 უჯრედზე მდგარ მეფეს მხოლოდ ერთი სვლა აქვს, სახელდობრ — h2-ზე. ეს შეიძლება იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ეს უჯრედი მეზობელია e2 უჯრედის, მეორეც h2 უჯრედი დაკავებულია არა საკუთარი, არამედ მოწინა-

აღმდგვის ფიგურით და მესამე, ის არ იმყოფება მოწინააღმდეგის ფიგურის მუქარის ქვეშ.




ზემომოყვანილ დიაგრამაზე არსებობს მოწინააღმდეგის შემდეგი ფიგურები: მეფე f8 უჯრედზე, ეტლი f1 უჯრედზე, კუ b2 უჯრედზე და პაიკი e4-ზე. არცერთი ამ ფიგურათაგანი არ იცავს b2-ს. თეთრების მეფეს არ შეუძლია გადავიდეს b1, c1, ან d1 უჯრედებზე; რადგან ამ უჯრედებს ემუქრება f1 ეტლი. მეფეს არ შეუძლია აგრეთვე h3 ან d3-ზე გადასვლა, რადგანაც ამათაც ემუქრება შავი e4 პაიკი. ვერ გადავა მეფე e3-სა და d2 და უჯრედებზედაც, რადგან ისინი დაკავებული არიან საკუთარივე პაიკებით, დაფაზე არსებული სხვა უჯრედები კი მისთვის მიუღწეველია, რადგან ისინი არ არიან იმ უჯრედის მოსაზღვრედ, რომლებზედაც ის ამჟამად დგას.

მკითხველი დარწმუნდება იმაში, რომ შავ მეფეს აქვს მხოლოდ ერთი სვლა. g7.



აქ, შავების სვლის ჯერია. მათი მეფე „ქიშის“ ქვეშ იმყოფება, რადგან თეთრი ლაზიერი ემუქრება. მას არ შეუძლია ამ ლაზიერის აღება, რადგან დატულია f8 პაიკით. მეფეს არ შეუძლია სხვა რომელიმე უჯრედზე გადასვლა. g7 ლაზიერი არ შეიძლება აღებულ იქნას შავების რომელიმე სხვა ფიგურით, ამიტომ შავების მეფე დაღუპულია, დაშამათებულია. შავების პარტია წაგებულია.




აქ მეფეები და ეტლები თავის პირველდაწყებით პოზიციაში იმყოფებიან. დაეუშვათ, რომ ამ

პარტიაში ისინი ჯერ კიდევ უძრავნი არიან. თეთრებს შეუძლიათ „როქის“ გაკეთება, როგორც h1, ისე a1 ეტლით, ანუ, როგორც იტყვიან ხოლმე, თეთრებს შეუძლიათ როგორც „გრძელი“, ისე „მოკლე“ როქის გაკეთება.

მოკლე როქის გაკეთებისას თეთრი ეტლი h1 უჯრედიდან გადადის f1 უჯრედზე, მეფე კი e1-დან g1-ზე. გრძელი „როქისას“ კი მეფე e1 გადავა c1-ზე, ა ეტლი კი d1-ზე. შავებს შეუძლიათ გააკეთონ „როქი“ გრძელ მხარეზე: მეფის e8-დან c8-ზე, ეტლის a8-დან d8-ზე გადაყვანით, მაგრამ მოკლე მხარეზე მათ „როქის“ გაკეთება არ შეუძლიათ, ვინაიდან მათი h8-ეტლი მაშინ აღმოჩნდება f8-უჯრედზე, რაც დაუშვებელია, რადგან თეთრების h4 ლაზიერი ემუქრება f8 უჯრედს.

მ ა ლ ი

c2-ზე მდგარ ეტლს თავის განკარგულებაში შემდეგი სვლები




აქვს: h2-ზე, d2-ზე, e2-ზე, f2-ზე, g2-ზე. მას არ შეუძლია წასვლა

c1-ზე, ან c3-ზე, რადგან ის იძულებულია დაიცვას საკუთარი მეფე მოწინააღმდეგის g2 ეტლისაგან. c4 ეტლს შეუძლია წავიდეს a4-ზე, b4-ზე, d4-ზე და e4-ზე, მაგრამ მას არ შეუძლია წავიდეს f4-ზე, რადგან თეთრი e4 ეტლი მას გზას უღობავს და ამით იცავს საკუთარ მეფეს. e4 ეტლს მხოლოდ ორი სვლა აქვს: d4-ზე ან c4-ზე; g2 ეტლის განკარგულებაში 12 უჯრედია, სახელდობრ: h2, f2, e2, d2, c2, g1, g3, g4, g5, g6, g7, g8.

კ უ

ამ მდგომარეობაში დაფაზე სამი კუ არის. როგორც ვიცით, კუ დადის დიაგონალური ხაზებით. c3 კუს შეუძლია აიღოს f6 კუ და პირიქით f6 კუს—c3, მაგრამ d2 ეტლის აღება c3 კუს არ შეუძლია, რადგან ის იძულებულია დაიცვას საკუთარი მეფე f6 კუს მუქარისაგან. e4 კუს შეუძლია




f7 ეტლის აყვანა, ხოლო ამ უკანასკნელს არ შეუძლია სადმე გა-

დასვლა, რადგანაც იგი იძულებულია დაიცვას საკუთარი მეფე c4 კუს მუქარისაგან.

უჯრედები, რომლებზედაც გადასვლა შეუძლიათ ამ ფიგურებს, აქ შემდეგია: c3 კუსათვის ოთხი (b2, d4, e5 და f6), c4 კუსათვის—ათი (a2, b3, d5, e6, f7, g6, h5, d3, e2, f1) და ბოლოს, f6 კუსათვის—ცხრა: (h8, g7, e5, d4, c3, d8, e7, g5, h4).

ლ ა ზ ი მ რ ი

აქ დაფაზე ორი ლაზიერია, ერთი ეტლი, ერთი კუ და ორივე მეფე. შავ ა4 ლაზიერს, რომელიც აერთიანებს ეტლისა და კუს სვლებს, შეუძლია გადავიდეს შემდეგ უჯრედებზე: b4, c4, d4 და e4 (უკანასკნელზე ის თეთრების ლაზიერს აიღებს), ხ3-ზე და c2-ზე (აქ ის თეთრების კუს იღებს), ხ5, c6 და d7-ზე, მის განკარგულებაშია აგრეთვე უჯრედები a1, a2, a3, a5, a6, a7, a8.




თეთრ e4 ლაზიერს აქვს სვლები მხოლოდ შემდეგ უჯრედებზე: e2, e3, e5, e6, e7 და e8, რადგან

e8 ეტლი აიძულებს თეთრების ლაზიერს დაიფაროს საკუთარი მეფე მუქარისაგან. ეს რომ არ ყოფილიყო, თეთრ ლაზიერს შეეძლო შავი მეფისათვის h7 უჯრედზე შამათის გაკეთება. ახლა კი ლაზიერმა უნდა აიყვანოს e8 ეტლი ან თვით იქნას აყვანილი უკანასკნელის მიერ.

მ ხ ე დ ა რ ი

აქ, დაფაზე, ოთხი მხედარია, მათ გარდა კიდევ—ერთი ეტლი, ერთი კუ და ორივე მეფე.




ოთხი მხედრისაგან ორი უძრავია. e2 მხედარს არ შეუძლია ადგილიდან დაძვრა, მას აკავებს h5 კუ და g7 მხედარს კი g3 ეტლი. ეს მხედრები ვალდებული არიან საკუთარი მეფე დაიცვან. f5 მხედარს შეუძლია ერთ-ერთ შემდეგ უჯრედზე: e7, d6, d4, e3, g3 (ამ უკანასკნელზე ის ეტლს აიღებს), h4, h6-ზე გადავიდეს. მხედრის სვლა დაფაზე უმოკლესი შესაძლებელი ნახტომია, რომელიც ისე ხორციელდება: ჯერ გამოითვლება

ორი უჯრედი წინ ან უკან, მარცხნივ ან მარჯვნივ, შემდეგ კი ერთი უჯრედი მათ მიმართ პერპენდიკულარულად. ეს f5 მხედარს რვა შესაძლებლობას ანიჭებს, მაგრამ ერთი მათგანი g7 მისთვის მიუღწეველია, რადგან ეს უჯრედი დაკავებულია საკუთარივე ფიგურით. f8 მხედრის განკარგულებაშია ყველა რვა უჯრედი. ის ემუქრება მოწინააღმდეგის მეფეს „ჭით“ და აიძულებს მას გადავიდეს, მაგალითად, f7 უჯრედზე.

პ ა ი ძ ი

აქ 16 პაიკს ვხედავთ, ე. ი. აქ არის პაიკთა სრული რაოდენობა. გარდა პაიკებისა, დაფაზე კიდევ ორი ეტლია, ერთი კუ, ერთი მხედარი და ორივე მეფე. თამაშის დაწყებისას, თეთრ პაიკებს უკავიათ მეორე ჰორიზონტალი,



შავებისას კი მეშვიდე. საწყისი პოზიციიდან პაიკები მიდიან წინ ან იღებენ მოწინააღმდეგის ფიგურას; პაიკები ყოველთვის მოწინააღმდეგის ბანაკისაკენ მი-


ემართებიან, სხვანაირად რომ ვთქვათ, თეთრი პაიკები მოძრაობენ ქვემოდან ზემოთ, შავი პაიკები კი ზემოდან ქვემოთ. თეთრ d4 და შავ e5 პაიკებს შეუძლიათ ურთიერთის აღება თავიანთი სვლის შემთხვევაში. ამ დიაგრამებზე არის სამი უმოძრაო, ბლოკირებული პაიკი; ესენია: შავი f7 პაიკი, g4 პაიკი და თეთრების g3 პაიკი. ცხრა პაიკი: a2, b2, e2, f2, h2, a7, b7, c7, f7 დგანან საწყის მდგომარეობაში. ე. ი. მათ ჯერ სვლები არ გაუკეთებიათ. დანარჩენი შვიდი პაიკი c3, d4, g3, d6, e5, g4, h5 გადაადგილდნენ თავის პირვანდელი უჯრედებიდან. d4 პაიკს ორი შესაძლებელი სვლა აქვს: მას შეუძლია წინ გადასვლა ან e5 პაიკის აღება; c3 პაიკს ერთი სვლა აქვს — შეუძლია გადავიდეს e4 უჯრედზე. საწყის უჯრედებზე მდებარე პაიკებსაც, რომელნიც არ არიან ბლოკირებული, შეუძლიათ ორიდან ერთ-ერთი სვლის გაკეთება. ეს არის საერთო წესის ის ერთ-ერთი გამონაკლისი, რომელმაც თავისი მიზანშეწონილობით ასეული წლების მანძილზე მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვა. ამ პაიკებს შეუძლიათ მოთამაშის სურვილისამებრ ერთი ან ორი უჯრედით წინსვლა. მაგალითად, a2 პაიკს შეუძლია გადავიდეს a3-ზე ან a4-ზე. a2 პაიკის გადასვლა a4-ზე ერთ სვლად ითვლება. ამ წესმა ხელი შეუწყო ქადრაკის განვითარებას.

და გამრავალფეროვანებას. აქ გ4 პაიკი თვალყურს აღევნებს, რომ თეთრი პაიკი f2 არ გადავიდეს f3 უჯრედზე; თუ ის დაიკავებს f3 უჯრედს, შავ პაიკს შეუძლია მისი აღება. ასე იყო მრავალი საუკუნის განმავლობაში. ბუნებრივია, რომ მოდარაჯე პაიკი მოტყუებულად იგრძნობდა თავს, თუ მისი ნათვალყურევი პაიკი გასცდებოდა მუქარის ქვეშეყოფ უჯრედს და არ მისცემდა მას აღების საშუალებას. ამ საკითხში, ბოლოს და ბოლოს, სამართლიანობამ გაიმარჯვა. პაიკს, რომელიც სადარაჯოზე დგას, უფლება მიეცა აილოს გამვლელი პაიკი, მაგრამ ეს აღება უნდა ჩატარდეს მოწინააღმდეგის მიერ პაიკით ორმაგი სვლის ჩატარების საპასუხოდ. მაგალითად. მოყვანილ მდგომარეობაში, თეთრების f2 — f4 სვლის შემდეგ, შავებს შეუძლიათ ამის საპასუხოდ ითამაშონ გ4: f3 და აილონ მოწინააღმდეგის პაიკი იქ, სადაც დასაწყისშივე ისინი ამას აპირებდნენ, ე. ი. არა f4-ზე (სადაც ახალი წესის შემოღებამდე თეთრ პაიკს არც კი შეეძლო გადასვლა), არამედ f3-ზე, სადაც ამ წესის შემოღებამდე ის უნდა გადასულიყო. ამ აღებას „გავლაზე“ აღება ეწოდება, პრაქტიკაში ხშირად ხმარობენ გამოთქმას: „en passant“.

თუ პაიკი მუქარის ქვეშეყოფ უჯრედს გასცილდა და არ იქნა აღებული მოწინააღმდეგის მიერ, შემდეგ მისი გავლაზე აღება უკვე აღარ შეიძლება და ის რჩება

წინგაწეულ პოზიციაზე, ე. ი. თუ f2 — f4 სვლის შემდეგ შავები არ აიღებენ ამ პაიკს გავლაზე (f3 უჯრედზე), მაშინ პაიკი დარჩება f4-ზე.

რადგან პაიკები უკან არასოდეს არ იხევენ, ისინი მწკრივიდან მწკრივზე გადადიან და ბოლოს და ბოლოს აღწევენ უკანასკნელ ხაზს — პაიკად არსებობის უკანასკნელ ზღვარს. ეს არ ნიშნავს პაიკის სიკვდილს, რადგან ბრძოლაში მოწინააღმდეგის შევიწროება და მისი შეტევა საპატიოა. ამიტომ უკანასკნელ მწკრივს მიღწეული პაიკი აღსდგება ახალი, მეტად საპატიო სიცოცხლისათვის: ის გარდაიქმნება ფიგურად — ლაზიერად, ეტლად, კუთ, ან მხედრად — მოთამაშის სურვილისამებრ. ეს, რასაკვირველია, პაიკის დაწინაურებაა, რადგან ფიგურას გაცილებით მეტი მოძრაეუნარიანობა აქვს, ვიდრე პაიკს.




მოყვანილ დიაგრამაზე თეთრები, თუ მათი სვლა იქნებოდა,

გასწევდნენ e7 პაიკს e8 უჯრედზე, მოითხოვდნენ ლაზიერს, დასვამდნენ მას პაიკის მაგიერ და ამით დააშამათებდნენ შავების მეფეს. შავების სვლის შემთხვევაში კი ისინი გაიყვანდნენ პაიკს f1 უჯრედზე, მის ნაცვლად დასვამდნენ მხედარს და დააშამათებდნენ თეთრების მეფეს.

საწყისი მდგომარეობა

ფიგურათა საწყისი მდგომარეობას ჰედრაკის დაფაზე დიდი ხანია ასეთი სახე აქვს. პირველ



სვლას თეთრები აკეთებენ. კუთხეებში დგას ეტლები. პირველი რიგი უკავია თეთრ ფიგურებს შემდეგი თანმიმდევრობით: ე, მ, კ, ლ, მფ, კ, მ, ე; თეთრებით მოთამაშის მარჯვენა მხარეს კუთხური უჯრედი თეთრია. მეორე რიგში დგას თეთრი პაიკები, მეშვიდეზე შავი პაიკები, მერვეზე — შავი ფიგურები. ყოველ შავ ფიგურას უკავია შესატყვისი თეთრი ფიგურის პირდაპირი უჯრედი: მეფე დგას მეფის პირდაპირ,

ლაზიერი ლაზიერის პირდაპირ და ა. შ.

თეთრი ლაზიერი თეთრ უჯრედზე დგას, შავი კი — შავზე. ე. ი. თამაშის დასაწყისში ლაზიერები დგანან თავისივე ფერის უჯრედებზე.

პარტიის შედეგები: შამათი, ფატი, ჭანიში


„ქიშისა“ და „შამათის“ გამოცხადებით პარტია მთავრდება; მაგრამ თამაში ყოველთვის არ თავდება ერთ-ერთი მეფის დაშამათებით.

თუ მოთამაშეს არა აქვს არც ერთი ისეთი სვლა, რომლის შედეგად საკუთარ მეფეს „ქიშის“ ქვეშ არ მოაქცევს, სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ „ქიშის“ ქვეშ არმყოფ მეფეს არა აქვს არც ერთი ნებადართული სვლა და მოთამაშის ფიგურებიც უძრავია, ასეთ მდგომარეობას „ფატი“ ეწოდება. „ფატი“ არ ნიშნავს პარტიის წაგებას, რადგან მოგების აუცილებელი პირობა მოწინააღმდეგის მეფის დაშამათებაა.

თუ ვერც ერთი მხარე ვერ ახერხებს მოწინააღმდეგის დაშამათებას, მაშინ პარტია მოწინააღმდეგეების შეთანხმებით, ყანით მთავრდება. ეს შეთანხმება შესაძლებელია როგორც სურვილისამებრ, ისე იძულებითაც.

ყანის იძულება ხდება, ჯერ ერთი, ერთი და იგივე სვლების განმეორებით და, მამასადაძმე, ერთი და იგივე მდგომარეობის განმეორებით; მეორეც — იმ წესის

თანახმად, რომ მოგებაზე მოთამაშემ 50 სვლის განმავლობაში უნდა შეიტანოს არსებითი ცვლილება პოზიციაში. პოზიციის არსებით ცვლილებად იგულისხმება პაიკით სვლა ან ფიგურის აღება.



აქ თეთრების სვლაა, შავები იმუქრებიან e2-ზე შამათით. რადგან მ შამათისაგან არაერთარი თავდაცვა არ არსებობს, ამიტომ თეთრები ჯერ ფიქრობენ თავის გადარჩენას და მ უჯრედზე ლაზიერით „ქიშს“ უცხადებენ შავებს. შავებს აქვთ მხოლოდ ერთი პასუხი: მფ3 — ხ8. მაშინ თეთრები კვლავ ბრუნდებიან უკან და კვლავ „ქიშს“ აცხადებენ. სულერია, შავი მეფე გადავა მ8-ზე თუ e8-ზე, თეთრები ისევ თამაშობენ ლხა — მ8 და ამ „ქიშებს“ ბოლო არ უჩანთ. ამრიგად, პარტია ყაიმით მთავრდება.

საჭადრაკო სტრატეგიის
აზოცანები

ჩვენ გავარკვიეთ ის წესები, რომელთა თანახმად უნდა ვითარდებოდეს ჭადრაკის პარტია.

აქ წესების თანახმად თამაშობენ როგორც დამწყებნი, ისე გამოცდილი მოჭადრაკენი. ვინც ამ წესებს არ იცავს, ის ჭადრაკის მოთამაშე არაა, ხოლო ვინც მათ იცავს, ის შედის მოჭადრაკეთა დიდ ოჯახში, რომელშიც მილიონობით წევრია.

ერთი და იგივე წესების შემსრულებელ მოჭადრაკეებს ერთმანეთისაგან ასხვავებს სტრატეგია. რაც ჭადრაკში ნიშნავს: სვლათა გეგმაშეწონილობას, მიზანშეწონილობას და ჭკვიანობას.

აღწერილობითი და ალგებრული
ნოტაცია

რადგან ჭკუას თავისი გამოვლინებისათვის ესაჭიროება ენა, გამოთქმის შესაფერი ხერხი, მოჭადრაკეებმაც მთელ რიგ ხელოვნურ სიტყვებთან ერთად შექმნეს აღნიშვნათა საკუთარი სისტემა (ნოტაცია).

ხალხთა უმრავლესობას შემოღებული აქვს ალგებრული სისტემა, რის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ; უჯრედი აქ აღინიშნება ასოთი და ციკრით, სვლა კი ორ უჯრედთა აღნიშვნით; ჩანაწერი e2 — e4 ნიშნავს პაიკის e2 უჯრედიდან e4 უჯრედზე გადასვლას. უმეტესად ხმარობენ ალგებრულ ნოტაციას, მაგრამ ხმარობენ აგრეთვე აღწერილობით ნოტაციასაც, რომელიც ემყარება ჭადრაკის თამაშის არსს. აღწერილობით ნოტაციაში გამოდიან საწყისი პოზიციიდან. იქ ლაპარაკია არა მ ხაზის შესახებ,

არამედ ლაზიერის მხრივი ეტლის ხაზის შესახებ, არა e ხაზის, არამედ მეფის ხაზის შესახებ, ისინი ლაპარაკობენ მე-2, მე-3, მე-8 რიგების შესახებ. მაგრამ არასოდეს არ ამბობენ პირველი რიგის შესახებ, რომელიც პარტიის დაწყებისას ფიგურებით არის დაკავებული და რომელნიც ამ ფიგურათა სახელს ატარებენ.

აღწერილობით ნოტაციაში არ გამოიყოფიან თეთრებისა და შავების სვლები. სვლების რიგი ითვლება მოთაზნაშეთა მხრიდან. ასე, მაგალითად, დაფის მე-7 რიგს ეწოდება შავების მე-2 რიგი.

ორივე სისტემაში საერთოა შემდეგი აღნიშვნები:

აღება :
 ქიში +
 შამათი X
 მოკლე როქი 0—0
 გრძელი როქი 0—0—0

მატერიალური უპირატესობის ხელსაწყოლობა

1. ერთი ეტლით უპირატესობა საკმარისია პარტიის მოგებისათვის.


შამათის მიღების მომენტში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ წაგებულ მხარეს რამდენი ფიგურა ჰყავს. თუ რამოდენიმე სვლაში შიშათი აუცილებელია, მაშინ იმ ფიგურებს, რომელთაც არ ძალუძთ ამ შამათისაგან საკუთარი მეფის დაცვა, არავითარი ღირებულება არა აქვთ და ისანი მხოლოდ უბრალო

მაყურებელი არიან. თანაბარ პოზიციაში კი, ე. ი. როცა ერთი მხარის ფიგურებს არ უკავია უფრო ხელსაყრელი პოზიციები, ვიდრე მეორე მხარისას, პარტიის მოგებისათვის საკმარისია ერთი ეტლით უპირატესობა.

ეს თეზისი საფუძვლად უნდა დაედოთ ქადრაქის თამაშის სტრატეგიას.


ამ ქეშმარიტების დამისაბუთებელი მეთოდი საქადრაკო აზროვნების საფუძველს წარმოადგენს. ეს მეთოდი გულისხმობს, რომ ფიგურათა გაცვლის შედეგად ორივე მხარემ დაკარგა ფიგურათა ერთი და იგივე რაოდენობა ისე, რომ დაფაზე რჩება ზედმეტი ეტლი, ის ეტლი, რომელიც ქმნიდა ერთ-ერთი მხარის უპირატესობას. ისეთი გაცვლები რომლებიც არ გააუარესებს არც ერთი მხარის მდგომარეობას, სავსებით დასაშვებია. ეტლითა და მეფით კი ყოველთვის შეიძლება დაშამათება, რაც იქიდან ჩანს, რომ დაფაზე შესაძლებელია საშამათო პოზიციის მიღწევა. მართალია, ეტლით და მეფით დაფის ცენტრში შამათს ვერ მივაღწევთ, მაგრამ ის ადვილი ხდება დაფის კიდეში. საქმე ისაა, რომ დაფის ცენტრში მეფეს რვა სვლა აქვს, დაფის კიდეში კი ხუთი. მეფეს საკუთარი ძალით შეუძლია შეზღუდოს მოწინააღმდეგის მეფე, მაქსიმუმ, სამი სვლით. მეფეს და ეტლს კი შეუძლიათ წაართვან მოწინააღ-

მდევის მეფეს, მაქსიმუმ ხუთი სვლა და იმავე დროს ეტლმა ქიში გამოუცხადოს მას. ეს თვალსაჩინოა ქვემოთოყუანილი დიაგრამის განხილვიდან.



მეფის მაქსიმალური შეზღუდვა მეფით


აქ მეფენი იმდენად ახლო არიან ერთმანეთთან, რამდენადაც ამის უფლება მათ აქვთ, რადგან არც ერთ მათგანს არ შეუძლია დარტყმის ქვეშ დგომა. ისინი დგანან, ასე ვთქვათ, ოპოზიციაში და ართმევენ ერთმანეთს d3, d4 და d5 უჯრედებს.




მეფის მაქსიმალურად შეზღუდვა მეფითა და ეტლით

მეფენი ოპოზიციაში იმყოფებიან, ეტლი ქიშს აცხადებს და ამით ართმევს მოწინააღმდეგის მეფეს სამ უჯრედს, რომლებიც პარალელურია ოპოზიციის მეოხებით მისთვის წართმეული უჯრედებისა.

- ამრიგად, მეფე, რომელიც ხაზზე იმყოფება, გაიდევნება ხ ხაზზე.




საშამათო პოზიცია დაფის კიდეში



საშამათო პოზიცია დაფის კუთხეში

როგორც მეთევზე იჭერს თევზს თავის ბადეში, როცა მას შიგ მოაქცევს და შემდეგ თანდათან შეაფიწროებს, ისე ძლიერი მხარე მოწინააღმდეგის მეფეს დაფის ნაპირისაკენ ერეკება და თანდათან აფიწროებს მას; თავისუფალი სივრცე ვიწროვდება მოწინააღმდეგის მეფის სრულ ჩაკეტამდე. შავი მეფე (იხ. შემდეგი დიაგრამა) ვერ გასცდება e5 უჯრედს; თეთრები მოწინააღმდეგის სვლის მოლოდინში ამ ქსელს კიდევ უფრო აფიწროებენ:

შენ — ძნ. რადგან კადრაკის თა-
მაშში სვლის უფლება იმავე დროს
ვალდებულებაც არის, ამიტომ
მოთამაშე ვერ იტყვის სვლაზე



მეფე ქსელში

უარს. სვლის გაკეთების ამ ვალ-
დებულებას „სუგცვანგი“ ეწო-
დება.

მფც4 — ხ4 სვლის პასუხი იქნება:
ეძ5 — ე5 და ე-ხაზი შავი მეფე-
სათვის მიუვალი შეიქნება.


მფც1 — ე3 სვლის შემდეგ თეთ-
რები მფძნ — ე5 სელით დაიკავენ
ოპოზიციას, რის შემდეგ ითამა-
შებენ ეძ5 — ძ4 და დაეუფლებიან
მეოთხე რიგს. ამრიგად, ქსელი
სულ უფრო და უფრო ვიწროვ-
დება და შავ მეფეს თანდათან
ერთმევა ყველა ხაზი და რიგი.

საბოლოოდ დაფის კიდეში იქ-
მნება შემდეგ დიაგრამაზე ნაჩვენ-
ები ან მისი მსგავსი პოზიცია.

აქ გაგრძელება ასეთია: მფე8 —
ფ8; მფენ — ძა; მფნ8 — ე8;
მფძა — ენ; მფე8 — ფ8; მფენ — ფნ,
მფნ8 — ენ, ეძ7 — ძ1.

შავები სუგცვანში იმყოფებიან,
ისინი იძულებული არიან დაიკა-
2. კადრაკი.

ვონ ოპოზიცია მფე8 — ფ8; რის
შემდეგ იღებენ შამათს ეძ1 — ძ8
სვლის მეოხებით. ამ მაგალითი-




დან მკაფიოდ გამოვლინდა გან-
სახილველი პროცესის ლოგიკა.

2. მეფე და კუ ან მეფე და
მხედარი მეფის წინააღმდეგ მხო-
ლოდ ყაიმს აღწევენ.

მეფითა და კუთი ან მეფითა
და მხედრით საშამათო პოზიცია
არ მიიღწევა.


3. მეფე და ორი მსუბუქი ფი-
გურა მეფის წინააღმდეგ იგებს,
გარდა იმ შემთხვევისა, როცა ორი-
ვე მსუბუქი ფიგურა მხედრებია.

რადგან კუსა და მხედარს ნაკლებ-
ბი ძალა აქვთ, ვიდრე ლაზიერს
და ეტლს, ამიტომ მათ მსუბუქ
ფიგურებს უწოდებენ. ეტლს და
ლაზიერს კი მძიმე ფიგურებს ეძა-
ხიან. ორი მსუბუქი ფიგურით
ყოველთვის შეიძლება საშამათო
პოზიციის პოვნა. ასეთი პოზიციის
მაგალიტები აქ არის მოყვანილი.





აქ მოყვანილი ყველა პოზიცია არ მიიღწევა მეთოდური ხერხით, რაც მდგომარეობს მეფის ქსელში მოქცევისა და შევიწროებაში.

მეფის ეს შევიწროება ხდება მასზე თავდასხმისა და მისი მოძრაუნარიანობის შეკვეცით. ორი მსუბუქი ფიგურით (გარდა ორი (ხედარისა) მეფის დაშამათება მხოლოდ დაფის კუთხეში შეიძლება, მაგრამ კიდითი ხაზის შუაში, სადაც მეფე მეტმოძრაუნარიანია, შამათი მიუღწეველია.




ორი კუთი, რამდენადაც ისინი ეუფლებიან ორივე ფერის დიაგონალს, მეფის ქსელში მოქცევა, როგორც ეს დიაგრამაზე კარგად ჩანს, ადვილია.



აქ, შავი მეფისათვის მიუვალაა g1 — a7 და f1 — a6 დიაგონალების მარცხნივ მდებარე უჯრედები, მარჯვნივ ის შეზღუდულია d1 — h5 და e1 — h4 დიაგონალით.

მეფის დახპარებით შეიძლება ამ ქსელის კიდევ შემჭიდროება, მოწინააღმდეგის მეფის გარიყვა კუთხეში და იქ მისი დაშამათება.


წორი მხედრით შამათი მიუღწეველია. თუნდაც რომ მივალწიოთ მეფის გარიყვას კუთხის უჯრედებზე, მის შემდგომ შევიწროებას ჩვენ ველარ შევძლებთ.



აქ, ჩვენს წინაშე კრიტიკული პოზიციაა; შამათს რომ მივალწიოთ, მეფე დაფის კუთხეში უნდა მოვაქციოთ, ამისათვის საჭიროა მას წავართვათ f3 უჯრედი; თუ ამ მიზნით ვითამაშებთ მe5—d7, პასუხი, რასაკვირველია, იქნება: მფg3—h8 და მd5—e7 სვლა შეუძლებელი გახდება ფათის გამო. განსახილავ პოზიციაში, მხედარი d7 უჯრედზე რომ იდგეს და სვლა თეორების იყოს, ჩვენ მაინც ვერას გავხდებით, რადიან მd5—f6 ქიშის საპასუხოდ შავებ. მეფე კუთხეში წავა, ხოლო მეორე მხედარს საშუალება არ ექნება გამოაცხადოს ქიში და შამათი, ამიტომ თეთრები იძულებული გახდებიან ბლოკადა მოხსნან. ამრიგად, მეფის დევნა ნაყოფს ვერ განიძღვებს.

კუთი და მხედრით შამათი მისალწევია, თუმცა რთული ხერხით. მეფის შევიწროების პრინციპი შემდეგია; მეფე, კუ და მხედარი თავისი ამოცანის გადაწყვეტისას, შეძლებისამებრ ერთმანეთს უნდა აესებდნენ და არა იმეორებდნენ, ე. ი. მათ არ უნდა შეზღუდონ ის უჯრედები, რომლებიც უკვე შეზღუდულია მოწინააღმდეგის მეფისათვის მოკავშირე ფიგურების (კუს, მხედრის ან ზეფის) მიერ.

ვიხელმძღვანელებთ რა ამ პრინციპით, ჩვენ ყოველთვის შევძლებთ მოწინააღმდეგის მეფის მოქცევას ერთ-ერთ კუთხეში, მაოლოდ საჭიროა ცოდნა, რომ შამათი შესაძლებელია მხოლოდ კუს ფერის კუთხურ უჯრედზე; რასაკვირველია, თავდამცველი მეფე შეეცდება მოწინააღმდეგე ფერის კუთხისაკენ გაიქრას.



აქ, თეთრებმა, ჯერ უნდა დაიყვანონ შავების მეფე მარჯვენა კუთხეში. აქ, ხშირია ისეთი ღრამატული მომენტები, როცა შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ მეფეს შეუძლია თავის გადარჩენა.

თამაში შემდეგნაირად ვითარ-
დება:

- | | |
|--------------|-----------|
| 1. მფა6 — ხ6 | მფა3 — ხ8 |
| 2. მფხ6 — ც6 | მფხ5 — ა8 |
| 3. მე7 — ძ5 | მფა8 — ხ8 |
| 4. მძ5 — ც7 | . . . |

ეს ართმევს შავ მეფეს ა3 უჯ-
რედს.

- | | |
|-------------|-----------|
| 4. . . | მფხ3 — ც8 |
| 5. კძ4 — ა7 | . . . |

ეს კიდევ ართმევს შავ მეფეს
ხ3 უჯრედს და მხედარი ახალი
ამოცანისათვის თავისუფლდება.

- | | |
|-------------|-----------|
| 5. . . | მფც8 — ძ8 |
| 6. მე7 — ძ5 | მფძ8 — ე8 |

შავი მეფე გარღვევას ცდილობს.

- | | |
|--------------|-----------|
| 7. მფც6 — ძ6 | მფე8 — ფ7 |
|--------------|-----------|

შავები მიილტვიან გ6-დან
ფ5-ზე ან ფ5-ზე. ამაღელვებელი
მომენტი.

- | | |
|-------------|-----------|
| 8. მძ5 — ე7 | მფფ7 — ფ6 |
| 9. კა7 — ე3 | . |

ქსელი მტკიცეა, რადგან მხედა-
რი და კუ ერთმანეთს ჰარმონიუ-
ლად ავსებენ.

- | | |
|----------------|-----------|
| 9. . . . | მფწ6 — ფ7 |
| 10. კე3 — ძ4 | მფფ7 — ე8 |
| 11. მფძ6 — ე6 | მფე8 — ძ8 |
| 12. კძ4 — ხ6 + | მფძ8 — ე8 |

სანამ ხ6 კუ იცავს ძ8 უჯრედს,
მხედარმა უნდა შეუქმნას მუქარა
ე8 უჯრედს.

20

- | | |
|----------------|-----------|
| 13. მე7 — ფ5 | მფე8 — ფ8 |
| 14. მფ5 — ძ6 | მფწ8 — გ7 |
| 15. მფე6 — ფ5 | მფგ7 — ხ6 |
| 16. კხ6 — ძ8 | მფს6 — ხ5 |
| 17. მძ6 — ე8 | მფს5 — ხ6 |
| 18. კძ8 — გ5 + | . . . |

მეფე ვერ დაბრუნდება უკან ხ5
უჯრედზე, რადგან უმაღლვე შამათს
ელის.

- | | |
|----------------|-----------|
| 18. . . . | მფს6 — ხ7 |
| 19. მფწ5 — ფ6 | მფს7 — გ8 |
| 20. მფწ6 — ე7 | მფგ8 — ხ7 |
| 21. მფე7 — ფ7 | მფს7 — ხ8 |
| 22. კგ5 — ხ5 | მფს8 — ხ7 |
| 23. კს6 — ფ8 | მფს7 — ხ3 |
| 24. კწ8 — გ7 + | მფს8 — ხ7 |
| 25. მე8 — ფX | |

4. ერთი პაიკის უპირატესობა,
უმრავლეს შემთხვევაში, საკმა-
რისია პარტიის მოგებისათვის.

აქ კიდევ უფრო ხაზგასმულია
ის მომენტი, რომ თანაბარ ძა-
ლოვან ფიგურათა გაცვლის მე-
ობებით მიღებული უპირატესობა
შენარჩუნდება ყოველი რისკის გა-
რეშე.


თუ მოვახერხებთ ზედმეტი პა-
იკის გარდა ყველა ფიგურათა
გაცვლა, მიკრებთ შემდეგს:

1. მოწინააღმდეგის მეფე გარ-
კვეულ სწორკუთხედში უნდა იყოს,
რომ მან შეძლოს ხელი შეუშალოს
პაიკს უკანასკნელი რიგის მილ-
წევაში;

2. თუ უძლიერესი მხარის მეფე
დაუფლებულია პაიკის წინამძე-
ვარე ორ უჯრედს, მოწინააღ-
მდეგის მეფემ უნდა ეძიოს ხსნა

მხოლოდ ოპოზიციის დაკავებაში, თუმცა ეს ყოველთვის არც არის შესაძლებელი;


3. თუ მოწინააღმდეგის ზეფეს პაიკის წინა უჯრედი უკავია მაშინ პარტია ყვიშია, რადგან ფათის მეტი ვერაფერი მიიღწევა.



თეთრი პაიკი ენ უჯრედზე დგას, მისთვის საკმარისია ორი სელა, რომ ე8-მდე მივიდეს. ხელის შეშლის მიზნით, შავების მეფე უნდა იდგეს ე8-დან არა უშორეს ორი უჯრედისა, ე. ი. ის უნდა იდგეს ენ — ენ — ე8 — ე8 სწორკუთხედის რომელიმე უჯრედზე. ეს სწორკუთხედი შემდგარია ორი კვადრატისაგან ენ — ე8 — ე8 — ენ და ენ — ენ, ე8 — ენ-საგან. ამიტომ ლაპარაკობენ გამსვლელი პაიკის კვადრატის შესახებ, ე. ი. ისეთი პაიკისა, რომლის შეჩერება არ შეიძლება მოწინააღმდეგის პაიკით (იხ. დიაგრამა).

აქ, მეფე დაუფლებულია საკუთარი პაიკის წინამდებარე ორ უჯრედს d5-სა და d6-ს, ხოლო

შავების მეფეს არ უკავია ოპოზიცია. თეთრებმა უნდა გამოიყენონ ეს უპირატესობა.



რასაკვირველია, საჭირო არ არის პაიკის წინ გაწევა, ჯერ მათ უნდა შეავიწროონ შავების მეფე.

1. მფე5 — f5 . . .

თეთრები იკავენენ ოპოზიციას.

1. . . . მფd7 — e7

2. მფd5 — e6 მფe7 — d8

3. d4 — d5 მფd8 — e8

თუმცა შავებმა ოპოზიცია დაიკავეს, მაგრამ ახლა იგი უკვე უსარგებლოა.

4. d5 — d6 მფe8 — d8

5. d6 — d7 . . .

ცუგკვანგი! მეფე იძულებული ხდება მოხსნას პაიკის ბლოკადა.


5. . . . მფd8 — e7

6. მფe6 — მფe7 (ნებისმიერი სელა)

7. d7 — d8 — ლაზიერი ან ეტლი და თეთრები იგებენ.

აქ თეთრებს არ შეუძლიათ მოგება. თუ ისინი მეფით გააკეთებენ


სვლას, მაშინ შავები უპასუხებენ
 მფემ — d7 და თამაში გაქიანურ-



დება. d6 — d7 + სვლის შემდეგ
 შავები პასუხობენ მფემ — d8 და
 თეთრებმა ან უნდა მისცენ მათ
 პაიკი, ან კიდევ ფათში ჩააგდონ
 შავების მეფე.


ამ მოსაზრებებიდან გამომდინა-
 რეობს სტრატეგია მეფითა და
 პაიკით თამაშისა მკუტის წინააღ-
 მდეგ.

პაიკი თუ ეტლის ხაზზე დგას,
 მაშინ კიდევ უფრო ძნელია ზედ-
 მეტი პაიკის გამოყენება მოსა-
 გებად. აქ ყოველთვის საკმარისი



როდია პაიკის წინ მდებარე
 ორ უჯრედს ფლობდე. თუ მო-
 წინააღმდეგის მეფემ მოახერხა
 გასვლის კუთხის დაუფლება, პარ-
 ტია ყაიშია. არც საკუთარი მე-
 ფით კუთხური უჯრედის დაკავება
 იძლევა ყოველთვის შოგებას. ხში-
 რად მოწინააღმდეგე ახერხებს
 მის (მეფის) იქ ჩაკეტვას და პარ-
 ტია ყაიშია. კუთხური უჯრედი-
 სათვის ეს ბრძოლა თვალსაჩინოა
 შემდეგ ორი მაგალითიდან (იხ.
 დიაგრამა):

თეთრების სვლის შემთხვევაში
 ყაიშია, რადგან ზხედარი ხელს ვერ
 შეუშლის მეფეს იაროს e7-სა
 და e8-უჯრედებზე. თუ სვლა შა-
 ვებისაა, ისინი უნდა გადავიდნენ
 მეფით d8-ან d7 უჯრედებზე, რი-
 თაც თეთრების მეფეს საშუალება
 ეძლევა ტყვეობას თავი დააღწიოს
 და პაიკი გაიყვანოს.




ასეთ პოზიციებში. თუ თავდა-
 ცველმა მხარემ მოახერხა კუს
 წინააღმდეგი ფერის უჯრედის
 (კუთხური უჯრედის) დაკავება
 მეფით, პარტია, მიუხედავად

ასეთი დიდი მატერიალური უპირატესობისა, ყაიმით მთავრდება. ყოველი ცდა მეფისათვის კუთხური უჯრედის წართმევისა მხოლოდ ფაქტით შეიძლება დასრულდეს.

ფიგურებით დაუცველ ვეფოზე, თავდასხმის ხელსაყრლობა


ქიშებისა და შეტევისაგან დაუცველი მეფე, რომელიც ვერ პოულობს თავშესაფარს, უთუოდ უნდა დაიღუპოს. თუ მეფე ვერ მოახერხებს გეზობელ უჯრედში იპოვოს უსაშიშრო თავშესაფარი, „საშამათო ქსელში“ მოექცევა.



აქ შავების ფიგურები საკუთარი მეფისაგან სრულიად დაცილებულნი არიან და ვერ უწყევენ მას ვერავითარ დახმარებას. ამიტომ თეთრების მცირეოდენი ძალების თავდასხმა, ამ მაგალითში, წარმატებით მთავრდება.


1. ღd2 — h6+ მფh8 — გ8
2. ლh6 — გ6+ მფგ5 — h8
3. ეf3 — h3X

აქ, თეთრები იგებენ შემდეგ ბერხით:



1. ეb1 — b6+ მფf6 — e7
2. ეა5 — a7+ მფe7 — e8
(საუკეთესო სვლაა)
3. ეb6 — b8+ ლh4 — d8
4. ეb8:d8+ მფe8 : d8
5. ეა7 — a8+ მფ — ~
6. ეა8 : h8

და ძალთა უპირატესობის გამო თეთრები იგებენ.



აქ თეთრების მეფე სრულიად დაუცველია და იგი განიცდის ეტლით და პაიკით საუკებოდ დაცული მხედრის შეტევას. შავები

იმუქრებიან შემდეგს: $e28 - a1 +$
 $მფg1 - f2$ და $e21 - f1 \times$

ანალიზი გავუყუთოთ ქიშები-
 საგან თავდაცვის შესაძლებლო-
 ბას, ამით ნათელი გახდება ასეთი
 შეტევათა წარმატება.


თუ ქიში გამოცხადებულია პა-
 იკით, მაშინ საჭიროა ან ამ პა-
 იკის აღება, ან მეფის წასვლა.
 კუთი, ეტლით ან ლაზიერით ქი-
 შის გამოცხადებისას შესაძლებე-
 ლია ან ქიშის გამომცხადებელი
 ფიგურის აღება, ან მეფის წასვლა,
 ან კიდევ აგრესიულ ფიგურათა
 შოკქმედების არის შეკეცვა ფიგურ-
 რათა გადაფარვის საშუალებით.

ორმაგი ქიშისაგან თავის დაცვა,
 ე. ი. ისეთი ქიშისაგან, როცა ის
 გამოცხადებულია ორი ფიგურის
 მიერ, შეიძლება მხოლოდ მეფის
 წასვლით. ამრიგად, თუ არ არსე-
 ბობს ფიგურები, რომელთა სა-
 შუალებითაც შეიძლება თავდაცვა
 ან კიდევ არ არის შესაძლებლობა
 აიყვანო მოწინააღმდეგის ქიშის
 გამომცხადებელი ფიგურა და თუ
 შეფე განიცდის ჭარბ ძალთა შე-
 ტევას, მაშინ მას, იმ იმედით,
 რომ მონახავს თავშესაფარს სა-
 კუთარი ფიგურების მიერ დაკა-
 ვებულ დაფის ნაწილში, გაქცევის
 გარდა არაფერი დარჩენია. ეს
 ძნელი მოსახერხებელია, თუ საქმე
 გვაქვს ისეთ მოწინააღმდეგესთან,
 რომელმაც კარგად იცის უპირა-
 ტესობის გამოყენება.


შამათისათვის სავალდებულო
 არაა ფიგურათა დიდი რაოდენ-
 ნობა, საჭიროა მხოლოდ ფიგურე-

ბის ძალთა რაციონალური მოხ-
 მარება.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგა-
 ლითი:




საკუთარი ეტლებით დაფის კი-
 დეში შევიწროებული მეფის და-
 შამათება შესაძლებელია მარტო
 ლაზიერით.




პაიკი, ლაზიერი და მხედარი აშა-
 მათებს მეფეს დაფის ცენტრში.

აქაც მიღწეულია შამათი დაფის ცენტრში ეტლისა და ორი კუს მეოხებით.



მეფის დასაშამათებლად კუთხეში საკმარისია ეტლი და მხედარი.



თუ მეფეს საკუთარივე ფიგურები უმცირებენ მოძრავუნარიანობას, მაშინ დაშამათების უამრავი შესაძლებლობა არსებობს. (იხ. დიაგრამა)



მაგალითისათვის მოგვყავს დახუთული შამათი, რომელსაც ჰქმნის მხოლოდ ერთი მხედარი (იხ. შემდეგი დიაგრამა).

მოვიყვანოთ ახლა ორმაგი ქიშტი მიღწეული შამათი.

თეთრების ორი ფიგურა, რომელიც ებრძვის მოწინააღმდეგის ქარბ ძალებს, სარგებლობს ორმაგი ქიშის უდიდესი ძალით და აშამათებს სელით ეწ — f8.



ცხადია, თუ განმარტოებულნი მეფის წინააღმდეგ გამოყენებულია რამდენიმე ფიგურა, რომელთა რიცხვიც ერთი მძიმე ფიგურა ურეგია, მაშინ ძნელი არ არის მეფის მოქცევა საშამათო ქსელში.

რამდენიმე მართლაც თავდასხპის ხელსაწარმოება თუნდაც მოწინააღმდეგის მეფეს მტკიცე პოზიცია ჰქონდეს და ძალების უპირატესობაც არ


რსებობდეს, მაშინაც შესაძლებელია შეტევის ობიექტის პოვნა. ეს იმიტომ, რომ, გარდა მეფისა, ფიგურაცა და პაიციც ხომ შეტევის ობიექტია. ფიგურის ან პაიციის აღებაც, თუ მოწინააღმდეგეს სამაგიერო არ მიაქვს, პარტიის მოგებას ანალღებს.

რასაც ვირველია, იშვიათად თუ აქვს აზრი მოწინააღმდეგის ისეთ ფიგურაზე დამუქრებას, რომელიც ადვილი დასაცავია. სულ სხვაა ერთდროული მრავალმხრივი თავდასხმა; წესის თანახმად, ერთი სვლის დროს მხოლოდ ერთი ფიგურის გადანაცვლება არის შესაძლებელი და არ შეიძლება ყველა დამუქრებულ ფიგურათა ერთდროული დაცვა, მაშასადამე, ზოგი მათგანი რჩება მუქარის ქვეშ, მათ გადაარჩენას მნიშვნელოვანი დაძაბულობა სჭირია. ეს შესაძლებელია, თუ თავის მხრივ კონტრამუქარას შეეკმნით. ერთდროულ შეტევად შეიძლება ვიგულისხმოთ აგრეთვე ლაზერით, ეტლით ან კუთი ისეთი უჯრედის დაკავება, საიდანაც ისინი მოწინააღმდეგის რამდენიმე ფიგურას ემუქრებიან. ასეთი თავდასხმაც შეტად ძლიერია.

თუ შეტევების ქვეშ მყოფ ფიგურათა შორის იმყოფება აგრეთვე მოწინააღმდეგის მეფე, მაშინ მეფის დაშტველ (გადამფარველ) ფიგურას არ შეუძლია წასვლა, ის „დაბმულია“ და მან უნდა იბრძოლოს არსებობისათვის.


კიდევ უფრო უარესად არის საქმე როცა თვით მეფეც გადალობილია, ე. ი. როცა თვით

დგას პირველი და მას არ იფარავს მოწინააღმდეგის ფიგურის ამღები საკუთარი ფიგურა, მაშინ ის იძულებულია დაიხიოს და მწარე ბედი არგუნოს მის უკან იმავე ხაზზე მდებარე საკუთარ ფიგურას, რომელმაც უნდა განიცადოს მოწინააღმდეგის შეტევის მთელი სიძლიერე.




ზემო დიაგრამაზე, თეთრების მეფეს ქიში აქვს გამოცხადებული, ისინი თამაშობენ $c1 - b2$, თავს იფარავენ ქიშისაგან და „აბაძენ“ მოწინააღმდეგის ლაზიერს.


ქვევით, დიაგრამაზე, შავებს გაჰყავთ ლაზიერი $a2 - a1$,



თეთრებსაც საპასუხოდ გაჰყავთ
 ხ7—ხ8 ლაზიერი, აცხადებენ
 ქიშს და იგებენ ლაზიერს.




აქ, თეთრები თამაშობენ ვფ2:ფ7,
 ამის პასუხია ლფ8:ფ7, რის შემდეგ
 ვა2—ა7 ქიშით თეთრები
 იგებენ.




აქ, გ7-კუ დაბმულია გ3 ეტლით,
 ხოლო დაბმული ფიგურა მხოლოდ
 დაფარვაა და არა თავდაცვა, ამიტომ
 თეთრების ლაზიერს შეუძლია
 აიღოს ხ6-პაიკი და შეტევა
 გადამწყვეტი ძალით გააძლიეროს
 გ7-უჯრედზე (იხ. ღიაგრამა).


მეორე ღიაგრამაზე თეთრები
 აცხადებენ ქიშებს ჯერ ხ8-უჯრე-



დიდან და შემდეგ ა7-დან და
 იგებენ ეტლს.





თეთრებს შეუძლიათ თუ არა
 ამ მდგომარეობაში ერთდროულად
 თავს დაესხან მეფესა და
 ლაზიერს და ამის შედეგად, მოი-
 გონ ლაზიერი?




აქ თეთრები ატარებენ ერთ-
 დროულ დარტყმას პაიკით:
 d2 — d4.

ამ დიაგრამაზე თეთრები აცხა-
 დებენ გახსნილ ქიშს; ეგ7:ე7.
 შავების პასუხია მფხ8 — გ8, რის
 შემდეგ თეთრები თამაშობენ
 ეე7 — გ7+ და აიძულებენ მეფეს
 კიდევ ხ8 უჯრედზე დგომას, ე. ი.
 კუს დიაგონალის დაკავებას. შემ-



სარგებლობენ რა ამით, შავები
 დაბმული მხედრით აცხადებენ
 ქიშს e4-ზე და ფიგურას იგებენ.




დეგ გაგრძელება იქნება: ეგ7:ბ7+,
 მფხ8 — გ8, ებ7—გ7+, მფგ8—ხ8,
 ეგ7:ა7+, მფხ8 — გ8, ეა7:ა8
 და თეთრები იგებენ ძალთა უპირა-
 ტესობით (იხ. დიაგრამა). ქვემო-
 მოყვანილ დიაგრამაზე მხედარი
 დაბმულია კუთი. მაგრამ არა
 აბსოლუტურად, ე. ი. არა ისეთ
 შემთხვევაში, როცა დაბმული
 ფიგურის ხაზზე მეფეა, აქ მხედა-
 რი მხოლოდ ლაზიერს იცავს, ამ
 უკანასკნელის ღირებულება მარ-
 თალია დიდია, მაგრამ, ცხადია,
 მეფის ღირებულებაზე მცირეა.

აქ თეთრები თამაშობენ მf3: e5
 და, თუ შავები აიღებენ ლაზიერს,
 რომელიც გახსნეს თეთრებმა თა-
 ვისი უკანასკნელი სულით, მაგა-
 ლითად: კხ5: d1, ამის საპასუ-
 ხოდ თეთრები დააშამათებენ
 შავებს შემდეგნაირად: კბ3: f7+
 მფე8 — e7, მდ3—d5X. ეს კომ-
 ბინაცია პრაქტიკაში ხშირად
 გვხვდება.


**უპირატესობის გამოყენება
ბალანსშიტ პუნქტში**

თუ მარტო მეფით დაცული დაბმული ფიგურა განიცდის ორმაგ შეტევას, მაშინ აუცილებელია კიდევ ერთი დაცვის დამატება; წინააღმდეგ შემთხვევაში ფიგურა დაილუპება. ორმაგი დაცვის შემდეგ შესაძლებელია მოხდეს მესამეჯერ დაბუქება. ამრიგად, იწყება ბრძოლა დაბმული ფიგურის ირგვლივ, რომელშიაც თავდამსხმელმა ძალთა სიჭარბე უნდა გამოიყენოს, რათა უპირატესობას მიიღწიოს; შეტევის შეჩერება კი თავდამსხმელს ყოველთვის შეუძლია ისე, რომ თავს ზიანი არ მიაყენოს.




d4 ეტლი დაბმულია კუთი, ის შეტევას ერთხელ განიცდის და დაცულია ერთხელე — მეფით. მფ3—e2 სვლით თეთრები განმეორებით ესხმიან დაბმულ ეტლს, შავეები მას იცავენ ეს5—d5 სვლით, ამის შემდეგ მხედარი აიღებს d4 ეტლს და d5 ეტლი კი მხედარს, რის შემდეგ d5 ეტლი კვლავ იბ-

მება და თეთრები მფ2—e3 სვლით მას იგებენ. უპირატესობის რეალიზაციის ამგვარი შემთხვევები ხშირია. მაგალითად, თუ საჭიროა, დავიკავოთ ფიგურით ან პაიკით მოწინააღმდეგის მიერ მრავალგზის დაკავებული უჯრედი ან იქ საკუთარი ფიგურა დავსვათ, ამისათვის საჭიროა, სადაო პუნქტში ძალთა უპირატესობა ვიქონიოთ, რათა, ყოველ შემთხვევაში, ფიგურა იმდენჯერ უნდა იყოს დაცული, რამდენჯერაც შეტევის ქვეშ იმყოფება.





აქ, თეთრებს შეუძლიათ ითამაშონ d2—d4, და თუმცა d4-პუნქტი სამჯერ არის დაცული (სახელდობრ, e5 პაიკით, e5 კუთი და e6 მხედრით), მაგრამ სამჯერვე შეტევის ქვეშ არის, ამიტომ d2—d4 სვლა საფრთხით ვარგისია და პაიკი ამ შემთხვევაში სრულიად არ იკარგება. რასაკვირველია, ძალთა უპირატესობა არ უნდა გვესმოდეს წმინდა არითმეტიკულად. მნიშვნელოვან როლს თამაშობს დაცვები და გადაღობვანი,

რაც დაბეჯითებით ასაწონ-დასაწონია, ზოგი დაცვა მხოლოდ მოჩვენებითია, ზოგი კი, თუმცა ნამდვილია, მაგრამ შესაძლებელია მოწინააღმდეგის ქარბი ძალებით მისი აღება, ან მისი მოსპობა, ვიდრე მოესწრობოდეს გადამწყვეტ პუნქტში მისი გამოყენება.



d4 ეტლი ორმაგ მუქარას განიცდის და თუმცა ორჯერვე დაცულია, მაგრამ მაინც იკარგება. თეთრები თამაშობენ ღე3:ე5+ ამ სვლით იხსნება ერთი დაცვა. მუქარის ქვეშ მყოფი ეტლი ვერ გადავა ქიშით d1-ზე ან e4-ზე, რადგან შავები თვით დგანან ქიშის ქვეშ, ამიტომ შავებმა მხილრით უნდა აიღონ ლაზიერი, რის შემდეგ მათი ეტლი იკარგება.


გ7 ლაზიერი იცავს f7 ეტლს. ეს დაცვა მოჩვენებითია, რადგანაც ღე7 დაბმულია. აქ კე8:f7+, მფფ8—f8, ახლა მეფე აიცილება ლაზიერის დაცვიდან და კd8—e7+სვლის შემდეგ თეთრები იგებენ (იხ. დიაგრამა).



თეთრები d5 დაბმულ პაიკის შეტევის ობიექტად ხდიან და მას პირველყოვლისა, ბლოკადას უქმნიან ეd1—d4 სვლით. თუ შავები უმაღვე ხელს არ აიღებენ ამ პაიკის დაცვაზე, მაშინ თეთრები e2—e4 სვლით (ქარბ ძალთა შეტევა) მოიგებენ მას (იხ. დიაგრამა).

d5 პუნქტზე შეტევა და თავდაცვა ერთმანეთს ათანაბრებენ, მაგრამ თეთრები სარგებლობენ პაიკით, რომ მით შავი ფიგურები განაცალკეონ. თამაში აქ შემდეგნაირად ვითარდება: 1. e2—e4,

მფდნ — e6; 2. a4—a5, მფენ — d6;
3. a5 — a6, მფდ6 — c6; 4. a6 — a7,



მფცნ — b7; 5. მფდ4 : d5 და თეთ-
რები იგებენ f2 პაიკის გაყვანით.

ფიგურათა შედარებითი ღირებულება


ზემომოყვანილ მაგალითებში, თავდამსხმელისაგან ხშირად იყო დამოკიდებული დასთმობდა თავის ფიგურას მოწინააღმდეგის ფიგურაში თუ არა. ამას „გაცელა“ ეწოდება. ზოგიერთი მოქაღრაკე ხალისით ცელის მხედარს კუში, ზოგი კი პირიქით, კუს ამჯობინებს მხედარს.

რომელი მათგანი იქცევა სწორად? ან, შესაძლოა, არც დასაშვები იყოს ლაპარაკი ამა თუ იმ გაცელის სისწორესა ან მცდარობაზე და საქეც სწყევტდეს ჩვენთვის გაუგებარი რაღაც შემთხვევითობა?

ქადრაკის მოყვარულთა უმრავლესობის პარტიების ბედს შესაძლებელია მართლაც შემთხვევითობა სწყევტდეს, რაც არ არის

საკვირველი და რაც მოთამაშეთა ფსიქოლოგიით აიხსნება.

მაგრამ ძლიერ მოთამაშებებში უკვე შესაძრწნეია „გაცელის“ ერთგვარი კანონზომიერება, ხოლო იმ მცირერიცხოვან მოქაღრაკეებისათვის, რომელნიც ოსტატობის ღირსნი არიან, ეს კანონზომიერება სრულიად ნათელია. თანაბარ მდგომარეობაში კუ და მხედარი, როგორც ჩანს, ერთფასოვანი არიან. იმავე მდგომარეობაში კუ ან მხედარი შეიძლება სამ პაიკში გაიცვალოს, ორი მსუბუქი ფიგურა — ეტლსა და ორ პაიკში, ლაზიერი — ორ ეტლში ან სამ მსუბუქ ფიგურაში. ეს დადასტურებულია ოსტატთა მრავალწლოვან პრაქტიკაში. ყოველივე ეს დამოკიდებულია პოზიციისაგან, რადგან არსებობს ისეთი პოზიციები, სადაც პაიკი ლაზიერს სჯობს.



აქ რომ e7 პაიკის მაგიერ ლაზიერი იყოს, თეთრები წააგებენ, პაიკი კი იგებს; ის გადის ძმ.ზე. აცოცხლებს მხედარს ქიშით, იგებს


ლაზიერს და შემდეგ ხ8 ეტლსაც, და ძალთა უპირატესობის გამო პარტიასაც.

ამრიგად, ეს შეფარდებები სამართლიანია „თანაბარ მდგომარეობებში“, მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მათი სამართლიანობა მაინც რამდენადმე საეჭვოა. მიუხედავად ამისა, ეს შეფარდებები მოჭადრაკეს აუცილებლად გამოადგება, როგორც კომპასი.

თუ მოჭადრაკე მიენდობა მას, მისი პაწია გემი თითქმის ყოველთვის, ზოგჯერ მხოლოდ ბევრი სვლის შემდეგ. იპოვის მშვიდ ნაესაყუდელს.

ამ შეფარდებათა შემოწმება შეიძლება დაფაზე რამდენიმე მაგალითის ანალიზის მეშვეობით.

ეტლი ძლიერია კუსა და პაიკზე, მაგრამ ცოტა უფრო სუსტია კუსა და ორ პაიკზე (რასაკვირველია თანაბარ მდგომარეობაში).




ინიციატივა თეთრების ხელშია, რადგან შავებს არაფერი შეუძ-

ლიათ მოიმოქმედონ, თეთრები შემდეგნაირად იგებენ: ეხ8—h7+, რომ მოაცილონ შავი მეფე საკუთარ პაიკებს. მფd7—d8, მფd5—e6;

და როგორც არ უნდა წავიდნენ შავები, თეთრები უთუოდ დაიპყრობენ ყველა პაიკს ეხ7—d7, ეd7:ძ6 და ა. შ.



ლაზიერი ორ ეტლზე სუსტია, თუ კი მოწინააღმდეგის მეფე უშიშროებაში იმყოფება, მაგრამ ლაზიერი ორ ეტლს სჯობს, თუ არის საშუალება ქიშის გამოცხადებისა. თანაბარ მდგომარეობაში შესაძლებელია ასეთი დასკვნა: ორი ეტლი რამდენადმე ძლიერია ლაზიერზე. მარტივი მაგალითი ნათქვამს ნათელს გახდის.



აქ თეთრები ითამაშებენ ეი3—e3, ეი1—e1 და რამდენიმე სვლის შემდეგ მოიგებენ e პაიკს. x პაიკის მოგება თუმცა ძნელია, მაგრამ ცხადია, რომ ინიციატივა ეტლების მფლობელის მხარეზეა. ლაზიერს, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ მუდმივი ქიშის გამოცხადება შეუძლია.

თუ დაფაზე არ არის სუსტი პაიკები და თუ ამასთანავე ეტლი თავდაცვას პაიკით პოულობს, მაშინ ერთი ეტლიც საშიშია ლაზიერისათვის.

მაგალითად: ეგ2 — g2, ლh4 — g5+, მფგ1 — h1, ლგ5 — c1+, მფh1 — h2, ლc1 — h6+, მფh2 — g1, ლh6 — g6+, მფგ1 — h2, ლგ6 — h7+, მფh2 — g1, ლh7 — b1+.



ეს მდგომარეობა საყაიმოა, თეთრებს შეუძლიათ თამაში და ისინი არასოდეს „ცუგცვანგში“ არ ჩაფარდებიან, ხოლო ყველა მათი ფიგურა დატული იქნება. ეტლი კი დახმარების გარეშე, ლაზიერთან ყოველთვის წააგებს, სწორედ ცუგცვანგის გამო.

აქ შაგების სვლის რიგი რომ იყოს, მაშინ ეტლი მეფეს უნდა მოსცილდეს, რადგან ეგ2 — h2 უფარგისია ლh4 — e1 X შამათის გამო. ამიტომ, როგორც კი ეტლი მეფეს მოსცილდება, თეთრები იგებენ (იხ. დიაგრამა).

დიაგრამაზე ასახულ მდგომარეობაში თეთრების სვლის რიგი რომ იყოს, მაშინ ისინი ადვილად შეძლებენ დაუბრუნდნენ ამავე ან მსგავს მდგომარეობას, როცა სვლა შეეებისაა, თუნდაც: ლh4 — d4+, მფგ1 — h2, ლd4 — e5+, მფh2 — h1, ლe5 — h8+, მფh1 — g1 ლh8 — h4.

ფიგურათა შედარებითი ღირებულების მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

მკითხველს ვურჩევთ ჩაატაროს ასეთი ვარჯიში, რაც მისთვის ფრიად სასარგებლო იქნება.

მოქალაქეობა დეპიუტატის შესახებ

პირველ თავში გადმოცემულ იქნა ჰადრაკის თამაშის ელემენტარული წესები, რაც ცნობილი იყო ჯერ კიდევ რამდენიმე საუკუნის წინათ. ისეთი საჰადრაკო ტერმინები, როგორიცაა „შამათი“, „ქიში“, „ყაიმი“, „ფაქიზი სვლა“, „მახვილი სვლა“ და სხვა მრავალი, რომელნიც უკვე ყოველდღიურ ხმარებაშია, სწორედ აქედანაა აღებული.

პირველ რიგში მოყვანილი მოსაზრებანი და დაკვირვებანი ყოველგვარი საჰადრაკო სტრატეგიის ელემენტებს წარმოადგენენ, რომლებიც გასაგებია თითოეული მოჰადრაკისათვის, ისე როგორც დედაენა.

ხუთასი წლის წინათ ამით ამოიწურებოდა მთელი საჰადრაკო ცოდნა; მაგრამ წარმოიშვა სრულიად ახალი პრობლემა. რომლის გადაწყვეტას მთლიანად დაეწეა საჰადრაკო მსოფლიო. პრობლემა ასეთია: როგორ უნდა იქნეს შეყვანილი ბრძოლაში ფიგურები, რომლებიც თამაშის დასაწყისში ურთიერთ დაკავშირებული არ

არიან და ხელს უშლიან ერთმანეთს?

მრავალი საუკუნის განმავლობაში თამაშს უთავბოლოდ იწყებდნენ. რამდენიმე სელის შემდეგ გართულებანი თავისთავად წარმოიშობიან; ამ გართულებებით სარგებლობდა უფრო ძლიერი მოჰადრაკე. ხოლო პარტიის დასაწყისს მაშინ არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდნენ

ერთხელ ვილაც უცნობმა გენიოსმა ყურადღება მიაქცია განსხვავებას თამაშის დასაწყისში. თუ ამ გენიოსის როლი მარტო იმაში მდგომარეობს, რომ მან შეძლო რამდენიმე დასაწყისის გამოყოფა და მათთვის სახელწოდების მინიჭება, ესეც ზემოწვევით დიდ მიღწევად ჩაითვლება.

მე-15 საუკუნეში ჩვენ გვხვდება პარტიათა დასაწყისები „დებიუტები“, რომელთაც გარკვეული სახელწოდება აქვთ და რომლებიც გარჩეულია წიგნებში. ამა თან, ვპოულობთ ისეთ თავისებურ ტერმინებს როგორიც არის „გამბიტი“ ან „giuoco piano“. აქედან

შოკიდებული დღემდე დებიუტების პრობლემას მიპყრობილი აქვს მთელი საქადრაკო მსოფლიოს ყურადღება.

საქმე ალბათ იმით დაიწყო, რომ ზოგიერთი მოთამაშე, რომელსაც ჩვენს დროში „ბუნებრივ ტალანტს“ არქმევენ ხოლმე, გამოირჩეოდა დანარჩენებისაგან, შემდეგ ჩვენთვის უცნობი ვილაც გენიოსი შემკრები ჩაიწერდა კარგ პარტიათა დასაწყისებს, შეადარებდა მათ ერთმანეთს და თავისი შრომის შედეგებს გაუზიარებდა ზოგიერთ ცნობისმყოფარე მეგობარს. ამის შედეგად, შესაძლებელია, ზოგიერთი ბეჯითი მოაწაფელე შესძლებდა ცნობილ ოსტატებზე გამარჯვებასაც ზეპირად შესწავლილი ხერხებით. ადვილად წარმოსადგენია მაყურებელთა გაკვირვება და დამარცხებულთა ბრაზი, რომელთაც, რასაკვირველია, უნდა ეგრძნოთ, რომ ეს გამარჯვებული არ არის ბუნებრივი ტალანტის მქონე და ის იბრძვის მხოლოდ წიგნის მიხედვით.

დროთა განმავლობაში ეს ბრაზი ცხრებოდა, მაგრამ მისი გაპოზიწვევი მიზეზი რჩებოდა. ამ ხნიდან წარმოიშენენ „ვარიანტთა შემკრებნი“ და მოთამაშენი ორჯგუფად გაიყენენ: ერთ ჯგუფში ითვლებოდა მოთამაშეები, რომელნიც ხელმძღვანელობდნენ წიგნიერი სიბრძნით, ხოლო მეორეში — ბუნებრივი მოთამაშეები; უკანასკნელთ უკიე აღარ შეეძლოთ პირველობის მოპოება.

კადრაკში რომ ვარიანტთა მცირე რიცხვი იყოს, ასეთი „შემკრების“ შომა ამომწურველი იქნებოდა. მდგომარეობა სულ სხვაგვარია: შესაძლებელია რამდენიც გნებავთ ვარიანტის შეგროვება და დახვეწა, მაგრამ მათი რიცხვი მილიონობითაა. ამიტომ საჭიროა ვეძიოთ წესები, რომელნიც მკაფიო ფორმაში მოგვეყვამლა ათასობითა და ათიათასობით ვარიანტის შინაარსს.

ასეც მოხდა, ასეთი ცდის პირველი შედეგი გვიკარნახებდა: *Sortez les pièces* (გამოიყვანეთ ფიგურები) — ეს პრინციპი ალბათ მე-18 საუკუნეს ეკუთვნის. ამ პრინციპის თანახმად საჭიროა ფიგურათა განვითარება, რომელნიც თამაშის დასაწყისში შევიწროებულნი არიან. და თუ ეს ასეა, ბუნებრივია, რომ ხელი უნდა შევეშალოთ მოწინააღმდეგეს განვითაროს თავისი ფიგურები, ე. ი. საჭიროა, ჩვენთვის განვითაროთ ისინი უფრო ჩქარა და უფრო უკეთ, ვიდრე მოწინააღმდეგემ და დავიწყოთ შეტევა მანამ, სანამ მოწინააღმდეგის ფიგურათა ნაწილი თამაშში არ არის შესული და იძულებულია ბრძოლის მხოლოდ მეთაკლუტრე იყოს.

გაცილებით უფრო გვიან ანდერსენმა შემდეგი წესი დაამყარა: თუ უშუალო თავდასხმა არავითარ წარმატებას არ მოგვეყვამს, საჭიროა, გაკეთდეს სულა იმ ფიგურით, რომელიც ამ მომენტში

სხვაზე უფრო ცუდად დგას — უნდა გამაგრდეს საკუთარი პოზიციის ყველაზე სუსტი ადგილი. რამდენიმე ხნის შემდეგ კი სკეპტიკურად დაუწყეს ცქერა საერთოდ პაიკებით სვლებს, ამ სვლებში უდიდეს ეკონომიას იჩენდნენ და ურჩევდნენ მათ გაკეთებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში.

